საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-291

15/04/2022

ქ. თბილისი

„სს „რუსთავის აზოტის“ ორჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი „ატზ-7“-„ატზ-8“-ის („ქ/ს რუსთავი-220“-დან სს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8“-ს (ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოისის“ კუთვნილ ქვესადგურამდე) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N 2-34 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N 2-34 ბრძანებით გაიცა „სს „რუსთავის აზოტის“ ორჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი „ატზ-7“-„ატზ-8“-ის („ქ/ს რუსთავი-220“-დან სს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8“-ს (ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოისის“ კუთვნილ ქვესადგურამდე) გაყვანის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N 138 (30.12.2019წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „რუსთავის აზოტის“ ორჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი „ატზ-7“-„ატზ-8“-ის („ქ/ს რუსთავი-220“-დან სს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8“-ს (ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოისის“ კუთვნილ ქვესადგურამდე) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N 2-34 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს „სს „რუსთავის აზოტს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი